**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 47**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ **ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის თამაზ სალუქვაძის სახით** და მეორეს მხრივ **შპს „ეკონომიკა-აუდიტი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი **დირექტორის მალხაზ ქარცივაძის** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

**1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს იჯარით გასაცემი ფართის (დანართი - სქემა) საიჯარო ღირებულების დადგენის მომსახურების შესყიდვა (საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები (CPV_79200000))** (შემდგომში _ "მომსახურება").

| # | მომსახურების დასახელება | ერთეული | ერთეულის ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | **იჯარით გასაცემი ფართის:<br>ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის" ახალსოფლის სანერგე-სასათბურე მეურნეობა;<br>მისამართი: ხელვაჩაური, სოფელი ახალსოფელი;<br>ფართი: 1016 კვ. მეტრი (დანართი - სქემა);<br>საკადასტრო კოდი: 22.29.01.253<br>საიჯარო ღირებულების დადგენა** | საიჯარო ღირებულების დადგენა - საშემფასებლო ან/და აუდიტორული მომსახურება | 200 | 200 |
| | სულ | | | **200** |

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **200 (ორასი) ლარს** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება") დღგ-ს ჩათვლით.

**3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული/გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის) საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის" მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ანანიძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N14.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2022 წლის 29 აპრილისა.

**6. მხარეთა უფლება–მოვალეობები**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს/გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

**7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**9.დაუძლეველი ძალა**

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

**10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

**11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**12. გადასახადები და ბაჟები**

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

**13. მხარეთა რეკვიზიტები:**

| | |
|---|---|
| **"შემსყიდველი"** | **„მიმწოდებელი"** |
| **ა(ა)იპ - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"** | **შპს „ეკონომიკა-აუდიტი"** |
| მისამართი: ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის ქუჩა №14 | მისამართი: ქ. ბათუმი, იმნაძის ქუჩა N 6 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 445391941 | საიდენტიფიკაციო კოდი: 245425883 |
| ტელეფონი: (0422) 29 43 49 | ტელეფონი: 599 63 90 49 |
| მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; | საბანკო რეკვიზიტები: |
| მიმღების ბანკი -სახელმწიფო ხაზინა;ბანკის კოდი - TRESGE22; | სს "ლიბერთი ბანკი" |
| | ბანკი კოდი:LBRTGE22 |
| მიმღების ანგარიში GE62TB7901736010100015 | ანგარიშის №: GE34LB0111159950083001 |
| სახაზინო კოდი 740727499 | |
| **დირექტორი: თამაზ სალუქვაძე** | **დირექტორი: მალხაზ ქარცივაძე** |

სქემა მ. 1:400